

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

საარჩევნო კომისია

თსსუ - ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის

2024 წლის 10 ივლისის არჩევნების

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

10 ივლისი 2024 წელი

არჩევნები ჩატარდა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N33. თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის, პირველ სართულზე არსებულ „საკონფერენციო დარბაზში N1“ სადაც განთავსდა საარჩევნო სიები და კენჭისყრის კაბინა.

არჩევნები გაიმართა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების (დამტკიცებულია თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 7 მარტის N23/3 დადგენილებით) მიხედვით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

საარჩევნო უბანი გაიხსნა 9:00 საათზე. კენჭისყრამდე დაილუქა საარჩევნო ყუთი.

კენჭისყრა დაიწყო 9:02 საათზე.

კენჭისყრის დაწყებამდე გაიხსნა საარჩევნო ყუთის ლუქი, შედგა შესაბამისი ოქმი და ყუთში მოთავსდა პირველი ამომრჩევლის ბიულეტენი საკონტროლო ფურცელთან ერთად.

კენჭისყრა მიმდინარეობდა დადგენილი მოთხოვნების დაცვით. რაიმე ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. არ შემდგარა დარღვევის ოქმი.

კენჭისყრა დასრულდა 18:00 საათზე. ბიულეტენები დათვლილი იქნა დადგენილი წესით. ბიულეტენების დათვლის საფუძველზე დადგინდა შემდეგი მონაცემები:

თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის არჩევნებში მონაწილეობის უფლებამოსილი 47 წევრიდან, სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით რეგისტრაცია გაიარა და ხმა მისცა 33 პირმა, რაც შეადგენს სიითი რაოდენობის 70,2 %-ს.

ბიულეტენების დათვლის საფუძველზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის არჩევნებში მონაწილე კანდიდატზე ხმების რაოდენობა გადანაწილდა შემდეგი სახით:

ბიულეტენების საერთო რაოდენობა ---33-----

შალვა ზარნაძე 29

ბათილად იქნა ცნობილი 4..... ბიულეტენი.

კენჭისყრის შედეგების საფუძველზე თსსუ-ის საარჩევნო კომისია ადგენს:

ჩატარებულად ჩაითვალოს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები

1.თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანად არჩეულ იქნა.....შალვა ზარნაძე

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნ. თევზაძე ნ. თევზაძე

კომისიის მდივანი ლ. ზიბზიბაძე ლ. ზიბზიბაძე

კომისიის წევრები: ს. ბერია ს. ბერია

ვ. ბეროშვილი ვ. ბეროშვილი

ა. ნიშნაძე ა. ნიშნაძე